

შპს ლგ გრუპი

**ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11 - 28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლგ გრუპი“-ის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ლგ გრუპი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან. ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღებით დასრულებული წლებისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავგნიშნეს 2025 წლის 18 ივლისიდან და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2024 წლის დეკემბრისთვის ჩატარებულ ინვენტარიზაციის პროცესს. ჩვენ სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მარაგების რაოდენობის სისწორეში, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 10 575 798 ლარის ოდენობით. ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ჩვენ ვერ შევძელით დაგვადგინა აუცილებელი იყო თუ არა კორექტირება კომპანიის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

საანგარიშგებო პერიოდის დასასრულში ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, დავსწრებოდით ძირითადი საშუალებების ფიზიკურ დათვალიერებას. გარდა მიწისა და შენობისა, ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით აღნიშნული ძირითადი საშუალებების რაოდენობებისა და შესაბამისი ღირებულების დადასტურება, რომლებიც კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 6 595 425 ათასი ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ დავრწმუნდით გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულებით შეფასების სისწორეში. გაცემული სესხების ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3 977 923 ათას ლარს. შედეგად ჩვენ ვერ დავადგინეთ, რამდენად საჭიროებდა ურთიერთდამოკიდებულ პირებზე გაცემული სესხები ნაშთების კორექტირებას.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის

კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „მმართველობით ანგარიშზე“. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია. ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს „მმართველობით ანგარიშს“. ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშის წაკითხვას და იმის განსაზღვრას, ხომ არ აქვს ადგილი მმართველობითი ანგარიშის არსებით შეუსაბამობას ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული. ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის მტკიცებულებას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობითი ანგარიში და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია და შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“

სხვა გარემოებები

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარდა ჩემს მიერ, როზეც გაიცა პირობითი დასკვნა 2024 წლის 29 სექტემბერს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მამასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ლევან ბაკურაძე

მმართველი პარტნიორი

შპს „ესბისი აუდიტ ჯორჯია“

SARAS-F-177691, SARAS-A-117605

28 სექტემბერი 2025 წელი

თბილისი, საქართველო

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ლევან ბაკურაძე


მმართველი პარტნიორი

შპს „ესბისი აუდიტ ჯორჯია“

SARAS-F-177691, SARAS-A-117605

28 სექტემბერი 2025 წელი

თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

000 ლარი		12-31-2024	31-12-2023
შენიშვნა			
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	6,595	7,172
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,595	7,172
მიმდინარე აქტივები			
გაცემული სესხები		3,978	3,753
სხვა საგადასახადო აქტივი		1,135	930
მარაგები	4	10,513	10,140
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2,232	920
გადახდილი ავანსები	17	1,251	128
ფული და ფულის ექვივალენტები	6	305	8
სულ მიმდინარე აქტივები		19,414	15,879
სულ აქტივები		26,009	23,051
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	7.1	2	2
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		12,672	13,198
სულ კაპიტალი		12,673	13,200
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	18		1,012
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	1,012
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	18	1,716	
სავაჭრო ვალდებულებები	10	11,619	7,926
სხვა ვალდებულებები	11	1	913
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13,336	8,839
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		26,009	23,051

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 სექტემბერი:

მალხაზ როსტიაშვილი	ეკატერინე გედევანიშვილი
დირექტორი	ფინანსური განყოფილების უფროსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

000 ლარი

		12-31-2024	31-12-2023
	შენიშვნა		
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	6,595	7,172
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,595	7,172
მიმდინარე აქტივები			
გაცემული სესხები		3,978	3,753
სხვა საგადასახადო აქტივი		1,135	930
მარაგები	4	10,513	10,140
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2,232	920
გადახდილი ავანსები	17	1,251	128
ფული და ფულის ექვივალენტები	6	305	8
სულ მიმდინარე აქტივები		19,414	15,879
სულ აქტივები		26,009	23,051
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	7.1	2	2
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		12,672	13,198
სულ კაპიტალი		12,673	13,200
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	18		1,012
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	1,012
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	18	1,716	
სავაჭრო ვალდებულებები	10	11,619	7,926
სხვა ვალდებულებები	11	1	913
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13,336	8,839
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		26,009	23,051

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 სექტემბერი:

მალხაზ როსტიაშვილი
დირექტორი



ეკატერინე გელევანიშვილი
ფინანსური განყოფილების უფროსი



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

000 ლარი			
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
		31/12/2024	31/12/2023
	შენიშვნა	მდგომარეობით	მდგომარეობით
შემოსავალი	12	13,856	11,670
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	13	(10,895)	(10,430)
საერთო მოგება		2,962	1,240
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1,298)	(1,178)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		1,663	62
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	15	(467)	805
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)		(19)	(28)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით		1,176	839
დაბეგვრამდე			
მოგების გადასახადი		(256)	(88)
წლის წმინდა მოგება		920	751

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 სექტემბერი:

მალხაზ როსტიაშვილი
დირექტორი

ეკატერინე გედევანიშვილი
ფინანსური განყოფილების უფროსი

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისთვის**

000 ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

		31/12/2024	31/12/2023
	შენიშვნა	მდგომარეობით	მდგომარეობით
შემოსავალი	12	13,856	11,670
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	13	(10,895)	(10,430)
საერთო მოგება		2,962	1,240
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1,298)	(1,178)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		1,663	62
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	15	(467)	805
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)		(19)	(28)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,176	839
მოგების გადასახადი		(256)	(88)
წლის წმინდა მოგება		920	751

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 სექტემბერი:

მალხაზ როსტიაშვილი
დირექტორი



ეკატერინე გედევანიშვილი
ფინანსური განყოფილების უფროსი



კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

000 ლარი				
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	შენ.	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი		2	12,947	12,949
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)			751	751
დივიდენდები		-	(500)	(500)
2023 წლის 31 დეკემბერი		2	13,198	13,200
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		-	920	920
დივიდენდები	7.2	-	(1,448)	(1,448)
2024 წლის 31 დეკემბერი		2	12,671	12,673

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 სექტემბერი:

მალხაზ როსტიაშვილი
დირექტორი

ეკატერინე გედევანიშვილი
ფინანსური განყოფილების უფროსი

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

000 ლარი		საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ კაპიტალი
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	შენ.			
2023 წლის 1 იანვარი		2	12,947	12,949
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)			751	751
დივიდენდები		-	(500)	(500)
2023 წლის 31 დეკემბერი		2	13,198	13,200
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		-	920	920
დივიდენდები	7.2	-	(1,448)	(1,448)
2024 წლის 31 დეკემბერი		2	12,671	12,673

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 სექტემბერი:

მალხაზ როსტიაშვილი
დირექტორი



ეკატერინე გედევანიშვილი
ფინანსური განყოფილების უფროსი



ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

000 ლარი			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის			
	მენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		1,588	1,539
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(13)	(79)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1,259)	(1,432)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(19)	(28)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის		8	8
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	6	305	8

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 სექტემბერი:

მალხაზ როსტიაშვილი	ეკატერინე გედევანიშვილი
დირექტორი	ფინანსური განყოფილების უფროსი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

000 ლარი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		1,588	1,539
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(13)	(79)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1,259)	(1,432)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		(19)	(28)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის		8	8
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	6	305	8

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 სექტემბერი:

მალხაზ როსტიაშვილი
დირექტორი



ეკატერინე გედევანიშვილი
ფინანსური განყოფილების უფროსი



ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლგ გრუპი“ არის 1996 წელს 20 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი კომპანია. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 211328810. კომპანიის ძირითად ფუნქციონირების სფეროს წარმოადგენს: შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სამუშაოების წარმოება.

კომპანიის 50%-ს ფლობს - მალხაზ როსტიაშვილი (პ.ნ. 16001002365) და ასევე 50%-ს ფლობს გიორგი როსტიაშვილი (პ.ნ. 16001026430).

შპს „ლგ გრუპი“ წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ კომპანიას აღნიშნულ ბაზარზე. ამ ეტაპზე „ლგ გრუპი“ წარმოდგენილია 2 საწარმოო ობიექტით ქ. თბილისში, 90-მდე ადგილობრივ დასაქმებულთ.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სამუშაოების წარმოება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო. ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ვანის ქ., N4.

კომპანია ფლობს ორ ქარხანას, რომლის ფაქტობრივი მისამართებია: ქ. თბილისი, ლიბანის ქ., N2 ბ; ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. N14ა;

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 89 თანამშრომელი.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

დღეის მდგომარეობით ყველა ოპერაცია ეფუძნება დაშვებას, რომ საქმიანობა უწყვეტად გაგრძელდება. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავის აქტივების გაყიდვას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში.

გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულებების პრინციპზე დაყრდნობით თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები.

საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს. ქართული ლარი იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა), რადგანაც მენეჯმენტს სჯერა, რომ ეს არის უფრო გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის.

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	დოლარი	ევრო	რუბლი
31 დეკემბერი 2024	2.8068	2.9306	0.025405
31 დეკემბერი 2023	2.6894	2.9753	0.029916
2024 წლის საშუალო კურსი	2.7208	2.944	

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან

- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.
 - ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
 - ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
 - დასაფარია საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
 - საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს;
- ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება, და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოყვანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობა-ნაგებობა	- 25 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	- 10-25 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	- 10-20 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა	- 3-15 წელი

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასრგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი საწყისი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული ვადით ფასდება. შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადაზე. მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

აქტივის გაუფასურება

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივები გაუფასურებულია, ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და ინვესტიციების გაუფასურების გადახედვა.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ეფექტი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

	მომდინარე 30 დღეზე ნაკლები დღის არე	31 – 60 დღე ვადაგადაცილება	61-90 დღე ვადაგადაცილება	91-180 დღე ვადაგადაცილება	180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	360 დღეზე მეტი
დარეზ.	-	2%	5%	25%	50%	100%
პროც.						

იჯარა

საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანია საიჯარო შემოსავალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სისტემური მეთოდი უფრო ადეკვატურად ასახავს მომხმარებლის მიერ სარგებლის მიღების გრაფიკს, თუნდაც საიჯარო გადასახდელების გადახდა არ ეფუძნებოდეს იმავე გრაფიკს.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისა და მიმდინარე ადგილას გადატანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მარაგების საპროგნოზო გასაყიდ ფასს, რომელსაც გამოკლებული აქვს მათი დასრულებისათვის საჭირო გაყიდვის ხარჯები.

ფული და ფულის ექვივალენტი

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ხელზე არსებული ფულადი ნაშთისგან და საბანკო ანგარიშზე არსებული თანხებისგან. კომპანია იყენებს საქართველოში არსებული წამყვანი ბანკების მიმდინარე ანგარიშებს. ფულადი სახსრები განთავსებულია მიმდინარე ანგარიშებზე და არ ერიცხებათ საპროცენტო შემოსავალი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია მისი სამართლიანი ღირებულებით, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. შემდგომში ისინი განისაზღვრება, როგორც ამორტიზირებულ ღირებულებას დაკლებული გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება წარმოიქმნება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი პრობლემები, გაკოტრება და სამართალდარღვევა არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურდება. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე.

ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც ივარაუდება, რომ ვერ მიიღება, ხდება პირდაპირი ჩამოწერა მოგება-ზარალში.

სახელმეკრულებო აქტივი

სახელმეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ მისაღებ საფასურზე. თუ კომპანია მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელმეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სახელმეკრულებო ვალდებულებები

სახელმეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, თუ მომხმარებლისგან მიიღება გადახდა ან გადახდის ვადა მოდის (რომელიც უფრო ადრე დგება), ვიდრე კომპანია გადასცემს მას შესაბამის მომსახურებას. სახელმეკრულებო ვალდებულებების ამონაგებად აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია შეასრულებს ხელმეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შემოსავლების აღიარება

საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის ამონაგებს:

მზა პროდუქციის მიწოდება

კომპანია, თავის მომხმარებლებს სთავაზობს მრავალი სახის პროდუქციას: მინა-ალუმინის ფასადის სისტემებს, ალუმინის და პლასტმასის კარ-ფანჯრებს, ორმაგი მინის ვიტრაჟებს, მინისა და ალუმინის სხვადასხვა სისტემის მოაჯირებს და ა.შ. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურებების გაწევა

ამონაგები, რომელიც უკავშირდება მომხმარებლებისთვის შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სახის მომსახურების გაწევას, არის როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი ხასიათის და მათი აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც გაიწევა აღნიშნული მომსახურებები.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება საგადასახადო განაკვეთები და კანონები, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების თარიღისთვის. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იხვერება საქართველოში. მოგების გადასახადი გადაიხდება დივიდენდებზე და დაიხვერება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც ანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აისახება სხვა გადასახადებად სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში. კომპანიის დამფუძნებლებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლელუბების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დღე აქტივის (ანაზღაურებადი დღე) ან ვალდებულების ნაწილში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში. კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალებს. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისათვის რომელშიც გამოცხადდა.

დივიდენდები

კომპანია აღიარებს დივიდენდის გადახდის ვალდებულებას, როდესაც დივიდენდის განაწილება ნებადართულია და აღარ არის კომპანიის გადაწყვეტილების საგანი. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, დივიდენდების განაწილება ნებადართულია მაშინ, როდესაც მას ამტკიცებენ მფლობელები. შესაბამისი თანხის აღიარება პირდაპირ კაპიტალში ხდება.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხულია წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. 2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიას აქვს სამართლებრივი ვალდებულება, რომ თანამშრომელთა მთლიანი ხელფასებიდან და სხვა გასამრჯელოებიდან 2% სახელმწიფოს საპენსიო სააგენტოს ფონდში გადაიხადოს. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

3. ძირითადი საშუალებები

000 ლარი	მიწა და შენობა	მანქანა - დანადგარები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	აღჭურვილობა და სხვა ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი აქტივები	სულ
ღირებულება						
31-12-2022	3,549	7,800	101	183	328	11,961
ბალანსი						
შეძენა	-	-	-	75	-	75
ჩამოწერა	(270)	(257)	-	-	-	(527)
31-12-2023		7,543	101	258	328	11,509
ბალანსი	3,279					
შეძენა	-	32	-	19	-	51
ჩამოწერა	-	-	(39)	-	-	(39)
31-12-2024	3,279	7,575	62	277	328	11,521
ბალანსი						
ცვეთა						
31-12-2022	471	3316	12	87	-	3,886
ბალანსი						
ცვეთა	73	487	3	32	-	594
ჩამოწერა	(10)	(130)	-	-	-	(140)
31-12-2023	534	3,670	16	119	-	4,339
ბალანსი						
ცვეთა	73	484	3	39	-	599
ჩამოწერა	-	-	(12)	-	-	(12)
31-12-2024	607	4,154	7	158	-	4,926
ბალანსი						
31-12-2022	3,078	4,484	89	96	329	8,075
ბალანსი						
31-12-2023	2,745	3,873	86	139	328	7,171
ბალანსი						
31-12-2024	2,672	3,421	55	119	328	6,595
ბალანსი						

კომპანიის მიერ ცვეთის მნიშვნელოვანი ნაწილი აღირიცხება თვითღირებულის ხარჯებში.

4. სასაქონლო მატერიალური მარაგები

000 ლარი	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მასალები	8,277	7,849
მზა პროდუქცია	2,188	2,143
წარმოება	-	-
სხვა მასალები	48	147
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10,513	10,140

წლის განმავლობაში ხარჯად აღიერებული მარაგების თვითღირებულების ხარჯია 6,875 ათასი ლარი, მარაგები არ არის გამოყენებული სესხის უზრუნველსაყოფად. 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ აღრიცხა 62 ათასი ლარის ოდენობით მარაგის გაუფასურება.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

000 ლარი	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მოთხოვნები იჯარიდან	22	7
სავაჭრო მოთხოვნები	4,792	2,988
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(2,582)	(2,075)
ნეტო სავაჭრო მოთხოვნები	2,232	920

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნის ნაშთები საკრედიტო ხარისხის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

000 ლარი

31-12-2024	<30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეზერვამდე	337	114	1,027	206	34	2,490	4,208
რეზერვის პროცენტი	-	2%	5%	25%	50%	100%	
რეზერვის თანხა	-	2	51	21	17	2,490	2,582
31-12-2023	<30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეზერვამდე	250	61	453	99	107	2,017	2,988
რეზერვის პროცენტი	-	2%	5%	25%	50%	100%	
რეზერვის თანხა	-	0	22	14	50	1,989	2,075

6. ფული სახსრები და მათი ექვივალენტები

000 ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	1	8
საბანკო ანგარიშებზე	304	0
	305	8

7. კაპიტალი და რეზერვები

7.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შედგება აკუმულირებული მოგებისგან.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს;
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

7.2 დივიდენდები

2024 წელს გამოცხადებული და გაცემული დივიდენდების რაოდენობა იყო 1,447,947 ლარი.

8. სესხები

შპს „არაგვი რეზორტზე“ 2024 წელს დამატებით გაცემული სესხი არ ფიქსირდება, ხოლო წლის განმავლობაში დარიცხული მისაღები პროცენტი შეადგენს 225 ათას ლარს.

9. მოგების გადასახადი

2024 წელს კომპანიამ აღიარა განაწილებულ მოგებაზე (დივიდენდებზე) დარიცხული მოგების გადასახადი 255 520 ლარის ოდენობით.

დივიდენდის გარდა მოგების გადასახადის ხარჯი კომპანიას 2024 წელს არ აქვს.

10. სახელმეკრულებო ვალდებულებები

000 ლარი

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სახელმეკრულებო ვალდებულებები (მიღებული ავანსები)	11,142	7,926
ვალდებულებები რეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	357	0
ვალდებულებები არარეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	57	0
კომუნალურებთან დაკავშირებული ვალდებულებები	46	0
ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ვალდებულებები	17	0
სულ სახელმეკრულებო ვალდებულებები	11,619	7,926

სახელმეკრულებო ვალდებულებები მოიცავს მომხმარებლისგან მიღებული ავანსების თანხებს. ზოგიერთი მომხმარებლის მიერ გადახდილი ავანსი დაზღვეულია ბანკის საავანსო გარანტიებით, რომელიც უზრუნველყოფს კონტრაქტორს ავანსად გაცემული თანხის დაბრუნებით იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელმა არადაინშნულებისამებრ განკარგა მიღებული თანხა.

11. სხვა ვალდებულებები

000 ლარი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სხვა ვალდებულებები	1	913
სულ სხვა ვალდებულებები	1	913

სავაჭრო ვალდებულებების ძირითადი ნაწილი დაკავშირებული კომპანიის საქმიანობისთვის საჭირო სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენასთან, როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი მომწოდებლებისაგან.

დეტალური ინფორმაცია სავაჭრო ვალდებულებების ჩამოლასთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ვალდებულებები რეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	-	549
ვალდებულებები არარეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	-	286
კომუნალურებთან დაკავშირებული ვალდებულებები	1	36
ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ვალდებულებები	-	28
საკონსულტაციო და სხვა ვალდებულებები	-	-
სხვა სავაჭრო ვალდებულება	-	14
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1	913

12. შემოსავალი

000 ლარი

	2024	2023
შემოსავალი დაუმუშავებელი მასალების რეალიზაციიდან	135	82
შემოსავალი დამსხრელი მინის რეალიზაციიდან	13	7
შემოსავალი მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	13,612	11,438
შემოსავალი მომსახურებიდან	96	142
სხვა შემოსავალი	-	-
სულ შემოსავალი	13,856	11,670

კომპანია არ აკორექტირებს ანაზღაურების დაპირებულ თანხას დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის ეფექტის შესაბამისად, ვინაიდან, ხელშეკრულების გაფორმებისას, მომხმარებლისთვის საწარმოს მიერ დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემასა და მომხმარებლის მიერ საქონლის ან მომსახურების ღირებულების გადახდას შორის ვადა, მაქსიმუმ, ერთი წელია.

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები (მე-5 შენიშვნა)	2,232	920
სახელშეკრულებო ვალდებულებები (მე-10 შენიშვნა)	11,619	7,926

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

000 ლარი

	2024	2023
მზა პროდუქცია	6,340	6,294
პერსონალის ხარჯი	2,260	2,098
ცვეთა და ამორტიზაცია	576	570
მასალები	535	703
მომსახურება	763	325
კომუნალური	262	303
ტრანსპორტირება	109	75
საწვავი	33	38
სხვა ხარჯი	17	23
სულ თვითღირებულება	10,895	10,430

14. ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები

000 ლარი

	2024	2023
სახელფასო ხარჯი	1,003	989
საგადასახადო ხარჯი	58	66
კომუნალური ხარჯები	42	45
დაზღვევის ხარჯი	10	6
საკონსულტაციო ხარჯი	72	13
ცვეთის ხარჯი	24	24
სხვა ხარჯი	89	35
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,298	1,178

15. სხვა ხარჯები/შემოსავალი

000 ლარი

სხვა შემოსავლები	2024	2023
ფინანსური შემოსავალი	225	220
იჯარიდან შემოსავალი	24	19
სხვა შემოსავალი	8	585
სულ სხვა შემოსავალი	257	824
ფინანსური ხარჯი	215	135
გაუფასურების ხარჯი მარაგებზე	5	(78)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი ანარიცხი	506	(11)
კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული ზარალი	19	-
სულ სხვა ხარჯი	745	46

16. საგადასახადო აქტივები

საგადასახადო აქტივების ძირითადი ნაწილი მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივი შეადგენს 1,135 ათას ლარს.

17. გადახდილი ავანსები

000 ლარი

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გადახდილი ავანსები უცხოური მომწოდებლების მიმართ	1,186	72
გადახდილი ავანსები რეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	65	56
სულ გადახდილი ავანსები	1,251	128

18. ნასესხები თანხები

000 ლარი

	2024	2023
1 იანვარი	1,012	1,567
სესხის აღება	1,626	931
სესხის დაფარვა	(996)	(1,496)
საპროცენტო ხარჯი	215	135
გადახდილი პროცენტი	(208)	(135)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა	68	10
31 დეკემბერი	1,716	1,012

19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

000 ლარი

ოპერაციები და ნაშთები	გაცემული სესხები 31-12-2024	საპროცენტო შემოსავალი 31-12-2024
შპს „არაგვი რეზორტი“	3,214	76
ოპერაციები და ნაშთები	გაცემული სესხები 31-12-2023	საპროცენტო შემოსავალი 31-12-2023
შპს „არაგვი რეზორტი“	3,214	538

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის (წარმომადგენელი დირექტორების სახით) მთლიანი ანაზღაურება 2024 წელს მოიცავდა დასაქმებულთა ხელფასებს 238 ათასი ლარის ოდენობით.

20. რისკების მართვის მიზნები და პოლიტიკა

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავდა სავაჭრო ვალდებულებებს, ნასესხებ თანხებს, საკონტრაქტო ვალდებულებებს.

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის შემდეგი ძირითადი რისკებია დამახასიათებელი: საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანიას ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკების კონტროლის პოლიტიკა არ აქვს.

კომპანიას მიაჩნია, რომ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური

ინსტრუმენტების თანხები მათ სამართლიან ღირებულებათა გონივრული შეფასებაა მათი მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიაღებდა. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობის (სავაჭრო მოთხოვნებისა, გაცემული სესხებისა და გადახდილი ავანსების გამო) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებიდან გამომდინარე.

კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობას წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნების, გაცემული სესხების, გადახდილი ავანსების და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საერთო ნაშთი 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც განთავსებულია ფულადი სახსრები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა.

ლიკვიდობის რისკი

კომპანია ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გასვლის და შემოსვლის ანალიზით.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი

„საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

ზემოხსენებული სტანდარტების მოთხოვნაა, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ასახავდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არსებულ მდგომარეობას.

ასევე 2024 წლის 31 დეკემბრიდან 2025 წლის 25 სექტემბრამდე ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, რომელიც არსებით ზეგავლენას მოახდენდა შპს „ლგ გრუპი“-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე,

22. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 27 სექტემბერს.

შპს „ლგ გრუპი“ მმართველობითი ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

1. ზოგადი ინფორმაცია, შედეგები და განვითარების გეგმები

1.1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლგ გრუპი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 1996 წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა, მაგრამ არ შემოიფარგლება: შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სამუშაოების წარმოება. შპს „ლგ გრუპი“ საქართველოში მინის, ალუმინის და ქვის ფასადების მწარმოებელი ერთ-ერთი მსხვილი კომპანიაა.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო. ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ვანის ქ., N4.

2024 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებულია 90-მდე თანამშრომელი. დღეისათვის კომპანია „ლგ გრუპი“ წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას, რომელიც წარმატებით ახორციელებს თავის საქმიანობას. კომპანიის გადაიარაღება და თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღჭურვა განხორციელდა 2016-2017 წლებში, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა მომსახურების ხარისხი. მანქანა-დანადგარების იმპორტირება განხორციელდა იტალიიდან და ისრაელიდან. კომპანია მაღალი ხარისხის მომსახურებას უწევს სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებს. შპს „ლგ გრუპი“ წარმოადგენს ისეთი ცნობილი სამშენებლო კომპანიების ქვეკონტრაქტორს, როგორიცაა შპს „ანაგი“, შპს „ელიტა ბურჯი“, შპს „ალიანსი“, შპს „ლისი დეველოპმენტი“, შპს „აქსის კონსტრაქშენი“, შპს აქსის ლენდ დეველოპმენტი“, შპს „არგო“ და სხვა, ასევე ასრულებს პროექტებს ბაზრების ისეთი მსხვილი მოთამაშეებისათვის, როგორიცაა შპს „ლეჩკომბინატი“, შპს „ავერსის კლინიკა“, შპს „მაგთი“, შპს „აი პი სი ჯი“, შპს „ლაიქ ჰაუსი“ და სხვა.

შპს „ლგ გრუპი“-ს გააჩნია საქართველოში წარმატებული ფუნქციონირების 29 წლიანი ისტორია.

1.2. შედეგები და მდგომარეობის ანალიზი

კომპანია ძირითადი ნედლეულისა და მასალების იმპორტირებას ახდენს ნორვეგიიდან, ბელგიიდან, ჩეხეთიდან, ისრაელიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან და ლატვიიდან. შემინვისთვის იყენებს მსოფლიოში აღიარებული ამერიკული მინის კომპანიის LARTA GLASS-ის მინას, ხოლო პროფილებისათვის ბელგიური REYNAERS-ისა და ნორვეგიული SAPA-ს ალუმინს.

კომპანია მინის დამუშავებას ახდენს სარაჯიშვილის გამზირზე მდებარე ქარხანაში, ალუმინის ჭრას და პროფილების აწყობას ლიბანის ქუჩაზე მდებარე ქარხანაში, ხოლო ქვის დამუშავებას ახორციელებს ლიბანის ქუჩაზე მდებარე ქარხანაში.

კომპანიას გააჩნია 2018 წლის 30 იანვრით დათარიღებული გერმანული კომპანია TUV SUD Management Service GmbH-ის მიერ გაცემული მენეჯმენტის ხარისხის სერთიფიკატი ISO 9001:2015.

კომპანია ინტენსიურად იზრდებოდა, ზრდასთან ერთად იზრდებოდა კომპანიის შემოსავლები. მნიშვნელოვანი ხარჯებია 2024 წელს გაწეული თანამშრომელთა ანაზღაურებაზე.

1.3. კომპანიის სხვა ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომელთა კვალიფიკაციის გარდა, კომპანია ასევე დიდ ყურადღებას უთმობს საოპერაციო ეფექტურობას, რომელსაც შემოსავლებში დანახარჯების წილებზე დაკვირვებითა და დანახარჯების მიზნობრიობის კონტროლით ახორციელებს. 2024 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯამურ რეალიზაციაში ადგილობრივ ბაზარზე გაწეული მომსახურების ღირებულების წილი შეადგენს 100%-ს.

1.4. კომპანიის საქმიანობა და განვითარების გეგმები

შპს „ლგ გრუპი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სამუშაოების წარმოება.

მსოფლიო ტრენდების და დასახული მიზნებიდან გამომდინარე კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში საშუალებას აძლევს კომპანიას, განახორციელოს თავისი საქმიანობა მაღალი სტანდარტების შესაბამისად.

მენეჯმენტის განმარტებით, 2025 წლის განმავლობაში შპს „ლგ გრუპი“ გეგმავს კიდევ გაფართოვებას და თანამშრომლების რაოდენობის გაზრდას. დაგეგმილია სხვა მიმართულებითაც კომპანიის განვითარება, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომპანია აღჭურვილია ახალი და თანამედროვე აპარატურით, რაც გამოიწვევს მომსახურების ხარისხის ამაღლებას და მოთხოვნების ზრდას.

კომპანიის კორპორაციული სტრატეგია კლიენტზე ანუ საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული იმიჯისა და სტრატეგიის შემუშავებაა, რაც მოიცავს როგორც სტრატეგიულ გეგმარებას, ასევე ოპერატიული ამოცანების ისე განსაზღვრას, რომ შესატყვისებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსაც.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში კომპანია დგას რიგი რისკების წინაშე, რომლებსაც შესაბამისად რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება.

2.1. ქვეყნის ეკონომიური ფაქტორებისა და გარემოს რისკი

კომპანიის შემოსავლებსა და მოგებაზე პირდაპირი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როგორიცაა: ეკონომიური ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობა, კონკურენტული ბიზნეს გარემოს არსებობა და ა. შ. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაცავად მუდმივად მიმდინარეობს შესაბამისი პროცესების მონიტორინგი დირექტორის და ფინანსური განყოფილების მხრიდან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

2.2. საკანონმდებლო რისკი

კომპანია საქართველოში აწარმოებს საქმიანობას, შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იმგვარად რეაგირება, რომ კომპანიის საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან.

2.3. საოპერაციო რისკი

როგორც ყველა კომპანია, შპს “ლე გრუპი“ დგას საოპერაციო რისკების წინაშე. კომპანიაში შექმნილია შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც აღნიშნული რისკების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოჩენასა და პრევენციას ახდენს. ასევე სისტემატიურად განიხილება მენეჯმენტის მხრიდან მიმდინარე საოპერაციო საქმიანობა და შესაძლო რისკები. ყოველი თვის განმავლობაში ხდება მიმდინარე/დაგეგმილ/წინა პერიოდის ფინანსური/არაფინანსური მონაცემების შეფასება და ანალიზი რისკების შესამცირებლად.

2.4. საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. მომსახურების მიწოდებისას მსხვილი პროექტების ფარგლებში ზოგიერთ კომპანიასთან მოქმედებს საბანკო გარანტიით თანამშრომლობა, დანარჩენებთან ძირითადად მუშაობს წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ნდობის ფაქტორი.

2.5. ლიკვიდურობის რისკები

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში რომ არ დაზიანდეს კომპანია და კომპანიის რეპუტაცია. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის

პროცესის ნაწილს. დეტალები კომპანიის აქტივებზე და ვალდებულებებზე ასევე მოცემულია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.6. საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვალოს საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობს, რაც იწვევს ასევე ფასების ზრდას და შემოსავლების შემცირებას.

დირექტორი:

მალხაზ როსტიაშვილი

პროცესის ნაწილს. დეტალები კომპანიის აქტივებზე და ვალდებულებებზე ასევე მოცემულია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.6. საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვალოს საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტური ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობს, რაც იწვევს ასევე ფასების ზრდას და შემოსავლების შემცირებას.

დირექტორი:



მალხაზ როსტიაშვილი